

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოვახსენებ, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სამსახური აერთიანებს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს. მუნიციპალიტეტში 16 საბავშვო ბაღია აქედან ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 2, ხოლო სოფლებში 14. საბავშვო ბაღებში ჩართულია 319 აღსაზრდელი. 2017 წლის ბოლოს საბავშვო ბაღებიდან საჯარო სკოლებში გავიდა 66, ხოლო შემოვიდა 61 აღსაზრდელი.

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფისათვის ბიუჯეტიდან 2018 წელს გამოიყო 656100 ლარი. აქედან ბავშვთა კვებაზე დაიხარჯა აღნიშნული თანხიდან 95700ლ, სახელფასო ფონდისათვის 472000 ლ, დანარჩენი ხარჯებისათვის 85620 ლარი.

აღსაზრდელთა მორალურ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება 80 პედაგოგი და 64 ტექნიკური პერსონალი.

ბავშვთა კვება წარმოებს დადგენილი ნორმების შესაბამისად სამჯერადად (საუზმე, სადილი და სახარი), თუ 2017 წელს ბავშვზე განსაზღვრული იყო 2, 10 ლარი 2018 წელს 2,50 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაღები საკვები პროდუქტებით მარაგდება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლების მიერ. სკოლამდელი დაწესებულების სამსახური მუდმივ ყურადღებასა და კონტროლს ახორციელებს საბავშვო ბაღებში კვების ნორმების დაცვის, კვების ობიექტების მოწესრიგებასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის, რაც გამოიხატება სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მუდმივი მეთვალყურეობით. შპს „ჰიგეა+“ თან დადებული ხელშეკრულებით ყოველწლიურად ვახორციელებთ საბავშვო ბაღების სანიტარულ ჰიგიენურ დეზინფექცირებას და ასევე საბავშვო ბაღების წყლის მიკრო ბიოლოგიურ გამოკვლევას. 2018 წელს საბავშვო ბაღებისათვის საკანცელარიო, სამეურნეო და მცირეფასიანი ინვენტარისათვის დაიხარჯა 30 000 ლარი, შეძენილი იქნა 900 ლარის სათამაშოები. მიმდინარე და კოსმეტიკურ რემონტზე დაიხარჯა 1 500 ლარი.

ახლახან დასრულდა N 2 საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე მშენებარე პროცესშია სოფ. ლაჯანის საბავშვო ბაღი.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ ახალ მოთხოვნებს აყენებს სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე. კანონი ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24 - ე მუხლის და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28 - ე მუხლის მე- 4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის

განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურეობრივი ინსტრუქციები ქცევისა და ეთიკის ნორმების შესახებ.

კანონიდან გამომდინარე საბავშვო ბაღებში შეიქმნა მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები, ასევე დაინერგა ახალი სასკოლო მზაობის პროგრამა, აღმზრდელები მუშაობას წარმართავენ ახალი პროგრამის მეშვეობით. ასევე გადამზადდა სკოლამდელი დაწესებულების სამსახურის მეთოდის ტ. თითქმის ყველა საბავშვო ბაღში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სრულყოფილი გარემო და რესურსები, განსაკუთრებით პრობლემურია აღნიშნული პროგრამის წარმართვა შერეული ტიპის ჯგუფებში და ამ მიმართულებით აღმზრდელებს სჭირდებათ გადამზადება. 2019 წლიდან იგეგმება პედაგოგების გადამზადება ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ახალი წლიდან ველოდებით ახალ დადგენილებებსა და ნორმატიულ აქტებს რის საფუძველზეც განხორციელდება რეორგანიზაციები და ცვლილებები.

ინფრასტრუქტურის მხრივ განსაკუთრებით პრობლემები და ახალი ბაღის შენობებია ასაგები ოყურეშში, ალპანასა და ტვიშში. სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩაუტარდეს ორბელის, ზუბის და ქულბაქის ბაღებს. ასევე ბაღების აღჭურვა ახალი ლიტერატურით, სათამაშოებით, ეზოს დანადგარებით, გასართობი სათამაშო ატრაქციონებით.

პრობლემურია ბაღების ინტერნეტით უზრუნველყოფის მდგომარეობა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 20 წრე და მასში ჩაბმულია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 160 მოსწავლე შედგენილი გვაქვს ერთობლივი სამუშაო გეგმა და წლის მანძილზე ტარდება არაერთი ღონისძიება და პროექტი. მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი აქტიურად არის ჩართული მუნიციპალური და საგანმანათლებლო პროექტებში, რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებულ საგანმანათლებლო- შემეცნებით ღონისძიებებში, როგორცაა „რა? სად? როდის?“ „ყველაზე ჭკვიანი“, ტრადიციად დამკვიდრდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ორგანიზებულ საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით მხიარულთა საზრიანთა შეხვედრების და ფოლკლორული ფესტივალების, ასევე გასართობი და შემეცნებითი საღამოების ჩატარების .

ახლო პერსპექტივაში აუცილებელია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დამონტაჟდეს გათბობა გაგრილების სისტემის მოწყობილობები, რაც საშუალებას მოგვცემს წელიწადის ნებისმიერ დროს ღონისძიებების ჩატარებისათვის.